

პოლიტიკის დოკუმენტი



სამხრეთკავკასიურ პრაგმატიზმებში
დაკარგული: რატომ უნდა მიმართოს
საქართველომ ძალისხმევა ღირებულებებზე
დაფუძნებული საგარეო პოლიტიკისკენ

ივანნა მაჩიტაძე

პოლიტიკის დოკუმენტი გამოცემა #32 | დეკემბერი 2022

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ის ასევე ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის და დემოკრატიის განვითარების პროცესებში. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში. ამ მიზნის მისაღწევად GIP ატარებს შესაბამის სიღრმისეულ კვლევებს, ვრცელ საინფორმაციო სამუშაოს ფართო საზოგადოებასთან და ხელს უწყობს თამამ ინოვაციებს პოლიტიკურ დისკურსსა და პოლიტიკურ მსჯელობაში.

პუბლიკაცია მომზადდა „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ და „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

ივანნა მაჩიტაძე, “სამხრეთკავკასიურ პრაგმატიზმებში დაკარგული: რატომ უნდა მიმართოს საქართველომ ძალისხმევა ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკისკენ,” პოლიტიკის დოკუმენტი No. 32, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, დეკემბერი 2022.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2022

საქართველო, თბილისი 0107, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

ტელ.: +995 599 99 02 12

ელ. ფოსტა: info@gip.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:

www.gip.ge

ავტორის შესახებ

ივანნა მაჩიტაძე, ასოცირებული პროფესორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტი. მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობების და ევროპათმცოდნეობის დარგში ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (უნგრეთი-ავსტრია). იგი ფლობს დოქტორის ხარისხს პოლიტიკის მეცნიერების დარგში დონეცკის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (უკრაინა). 2014-19 წლებში ივანნას ეკავა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო, ხოლო 2017-19 წლებში საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორის თანამდებობა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. 2019 წლის ივნისიდან იგი საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტია საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის მეცნიერების დარგში. ივანნას კვლევით ინტერესებში შედის რეგიონალიზმსა და დემოკრატიზაციასთან დაკავშირებული საკითხები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში.

სარჩევი

მოკლე შინაარსი	6
შესავალი.....	8
შესაძლებელია პრაგმატული და ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის შეჯერება?	9
პრაგმატიზმის ნაირსახეობები სამხრეთ კავკასიაში: აზერბაიჯანის და სომხეთის კურსი	11
საქართველო: საგარეო პოლიტიკის ძიებაში	17
დასკვნები და რეკომენდაციები.....	20
გამოყენებული ლიტერატურა.....	24

მოკლე შინაარსი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინის მიმართ განხორციელებული ფართომასშტაბიანი და გაუმართლებელი აგრესიის გამო რეგიონმა მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ის, რაც თითქმის ათი წლის განმავლობაში ითვლებოდა მორიგ რეგიონულ კონფლიქტად „რუსეთის სამეზობლოში“ და რაც სერიოზულ ზეგავლენას არ ახდენდა ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაზე, ახლა უკვე გლობალური მნიშვნელობის პრობლემად არის აღიარებული. უკრაინის მიერ ომის შთამბეჭდავად წარმართვამ გაააქტიურა გლობალური მხარდაჭერა და საზოგადოების ძალისხმევა მიმართა პუტინის რუსეთის გამო საფრთხეში მყოფი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად. ამის გამო ქვეყნები ჯგუფებად დაიყო: სახელმწიფოები, რომლებიც ცალსახად უჭერენ მხარს უკრაინას, სახელმწიფოები, რომლებიც რუსეთის მოკავშირეები არიან, და ისინი, რომლებიც თავს არიდებენ რაიმე პოზიციის გამოთქმას ეკონომიკური სტაბილურობისა და ბუნებრივი რესურსების პრიორიტეტულობის გამო. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიას სამხრეთ კავკასიის არცერთმა ქვეყანამ არ დაუჭირა მხარი, თუმცა ამავდროულად, არცერთმა მათგანმა არ მიიღო მოსკოვის სრული იზოლაციის პოლიტიკა. ამ მოცემულობამ განხილვის საგნად აქცია ის, თუ რამდენად მოგებიანია მსგავსი „პრაგმატიზმი“ რეგიონისთვის, განსაკუთრებით კი, – ტრადიციულად მყარად პროდასავლური საქართველოსთვის.

პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია „პრაგმატული მიმართულება“ სამხრეთ კავკასიაში. მასში წამოყენებულია არგუმენტები, რომ ამგვარი „პრაგმატული“ საგარეო პოლიტიკა არ არის ოპტიმალური სტრატეგია საქართველოსთვის დღეს არსებულ დიდი სტრატეგიული გაურკვეველობის პირობებში. ამ მიზნით, პირველ რიგში, შეფასებულია სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ცვლილების შედეგები და მიმოხილულია პრაგმატული და ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის მიდგომების არსი. მეორე მხრივ, გაანალიზებულია აზერბაიჯანის და სომხეთის რეგიონული პოლიტიკის პრაგმატიზმის ძირითადი მოტივები. და ბოლოს, ახსნილია თბილისის პრაგმატული საგარეო პოლიტიკისკენ სწრაფვის საფასური და სამაგიერო სარგებლის ნაკლებობა. როგორც კვლევის შედეგები გვიჩვენებს, ამგვარი მიდგომა საქართველოს ჩიხში შეიყვანს. შესაბამისად, ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა არის ოპტიმალური ვარიანტი, რომელსაც თბილისი უნდა გაჰყვეს, რადგან ის ერთადერთი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში, რომლის ძირითადი საგარეოპოლიტიკური მიზანი ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვაა. ბრიუსელსა და თბილისს შორის თანამშრომლობის შესუსტების ფონზე ამ კურსის ექვეყნებში დაყენება გამოიწვევს სანქციებს და საქართველოს მოწყვლადობა რეგიონული ცვლილებების მიმართ კიდევ უფრო გაიზრდება. ამ კუთხით, ნაშრომში, საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო პარტნიორებისთვის წარმოდგენილია რეკომენდაციები, მიიღონ იმგვარი ზომები, რომლებიც აუცილებელია, რათა თბილისი, აზერბაიჯანისა და

სომხეთის პრაგმატული პოზიციისგან განსხვავებით, რეგიონული პოლიტიკის ღირებულებებზე დაფუძნებულ კურსის ერთგული დარჩეს.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთი კავკასია, საქართველო, ომი უკრაინაში, პრაგმატული საგარეო პოლიტიკა

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, სამხრეთ კავკასიაში თითოეულ სახელმწიფოზე მიმავრებული გეოპოლიტიკური იარლიყი, პრაქტიკულად, უცვლელი რჩებოდა. რუსეთი ყოველთვის მოიაზრებოდა რეგიონულ ჰეგემონად, თურქეთი – მერკანტილურ სახელმწიფოდ, აზერბაიჯანი - თურქეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ დაბალანსებულ, მრავალვექტორიან საგარეო პოლიტიკის მქონე მოთამაშედ, საქართველო როგორც პროდასავლურ ქვეყნად, ხოლო სომხეთი კი რეგიონში რუსეთზე ყველაზე მეტად დამოკიდებულ სახელმწიფოდ. დასავლეთი (კერძოდ, აშშ და ევროკავშირი), ძირითადად, მოიაზრება, როგორც რეგიონით დაინტერესებული, თუმცა მაინც დისტანცირებული მხარე. აშშ-ს შემთხვევაში, ნაწილობრივი განდგომის ტენდენცია მკვეთრად გამოიხატა ჯორჯ უოკერ ბუშის ადმინისტრაციის შემდეგ, ხოლო რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა შესუსტდა მაშინ, როცა ახლო აღმოსავლეთმა დაკარგა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტის როლი. 2005 წელს ჯორჯ უმცროს ბუშის თბილისში ვიზიტის შემდეგ, რაც საქართველოს დემოკრატიზაციის მხარდაჭერის ხმამაღალი განაცხადი იყო, აშშ-ს არცერთი პრეზიდენტი არ ჩამოსულა რეგიონში. აზერბაიჯანსა და სომხეთში ამ რანგის ვიზიტი არ განხორციელებულა. უფრო მეტიც, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ბარაკ ობამას 2009-2011 წლების „გადატვირთვის პოლიტიკით“ რეგიონში უსაფრთხოების ხელახლა დამტკიცებული ზომების უზრუნველყოფაში ევროკავშირი და ნატო აქტიურად მონაწილეობდნენ (ლებანიძე 2020). 2018 წელს კასპის ზღვის კონვენციის ხელმოწერა, რითაც უცხოურ სამხედრო ძალებს ეკრძალებათ ამ ტერიტორიაზე შესვლა, ასევე რუსეთის გამარჯვებად ითვლება (ევრაზიანეტი 2019).

2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ დასავლეთმა საბოლოოდ გააცნობიერა, რომ რუსეთი გლობალური უსაფრთხოებისთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს. თუმცა, უკრაინის ომმა, ასევე, გამოიწვია ცვლილება ძალთა ბალანსში სამხრეთ კავკასიაში რამდენიმე მიმართულებით. არასწორი სტრატეგიული გათვლის შედეგად, კრემლმა მარცხი განიცადა უკრაინის სწრაფად დაპყრობის თვალსაზრისით 2022 წლის თებერვალს. შედეგად, მოსკოვის შესაძლებლობები, რეგიონში ჰეგემონიის შენარჩუნებასთან დაკავშირებით შესუსტდა მაშინ, როცა თურქეთმა 24 თებერვლის შემდეგ დაიწყო თავისი, როგორც „მერყევი სახელმწიფოს“ პოზიციების გამყარება რეგიონში სატრანსპორტო და სავაჭრო მარშრუტების კავშირის გარანტორის როლის შესრულებით. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მიწისქვეშა გზაზე გადგა მთიანი ყარაბაღის გარშემო კონფლიქტის მოგვარების პროცესისგან. ამასობაში, ევროკავშირი 2022 წლის განმავლობაში მცდელობას არ იშურებდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებისათვის. ამასთან, 13-14 სექტემბრის ძალადობრივმა ქმედებებმა და სომხეთის ტერიტორიაზე აზერბაიჯანის ჯარების შეჭრამ საფრთხის ქვეშ დააყენა სტაბილური მშვიდობის მიღწევის დიპლომატიური გზები. ამ შემთხვევაშიც, ევროკავშირმა მოახერხა,

ორი მხარე შეთანხმებულიყო აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარზე სამოქალაქო მისიის გაგზავნასთან დაკავშირებით (სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2022). საბოლოო ჯამში, 24 თებერვლის შემდეგ საქართველო აღმოჩნდა კიდევ უფრო რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში, სადაც იგი ცდილობს, ერთდროულად განახორციელოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზნები და მოახდინოს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაცია. ეს ყველაფერი კი ხდება არასაკმარისი შიდა რეფორმების გამო ევროკავშირისგან მზარდი კრიტიკის ფონზე. 24 თებერვლის შემდეგ რუსეთის ათასობით მოქალაქემ დატოვა ქვეყანა, რომლებიც პოტენციურად იწვევენ სოციალურ და პოლიტიკურ პოლარიზაციას. დღეისთვის არსებული დიდი გაურკვევლობის გამო პრაგმატული საგარეო პოლიტიკური სტრატეგია უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება ბაქოსთვის, ერევნისა და თბილისისთვის. სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიული გარდაქმნების თვალსაჩინო მაგალითის იმიჯის შენარჩუნებისთვის ბრძოლის ფონზე დასავლეთი საქართველოსგან ელოდა, რომ იგი არ გადაუხვევდა ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის კურსს. დღევანდელი რეგიონული დინამიკის პირობებში, „პრაგმატული“ პოზიციის დაკავება საკმაოდ წამგებიანია საქართველოსთვის, რადგან მას არ გააჩნია დასავლეთისგან უსაფრთხოების გარანტიები რუსეთის მხრიდან სრულმასშტაბიანი აგრესიის შემთხვევაში. სანამ სათითაოდ გავაანალიზებთ პრაგმატული საგარეო პოლიტიკის მიდგომის შედეგებს სამხრეთი კავკასიის თითოეული ქვეყნისთვის, განვიხილოთ, როგორც ღირებულებებზე დაფუძნებული, ასევე პრაგმატული პოლიტიკური პოზიციის არსი.

შესაძლებელია პრაგმატული და ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის შეჯერება?

საგარეო პოლიტიკაში პრაგმატიზმის ზუსტი განმარტების არარსებობა იძლევა ინტერპრეტაციების საშუალებას. ხშირად, პრაგმატული საგარეოპოლიტიკური პოზიცია აღიქმება, როგორც ინსტრუმენტი კონკრეტული მიზნების მისაღწევად და იმ ეროვნული ინტერესების საერთო კონცეფციის ხელშესაწყობად, რომელიც მოკლებულია რაიმე იდეოლოგიურ მოსაზრებებს. აქ შეგვიძლია ვისაუბროთ პატარა-P და დიდ-P პრაგმატიზმებზე. იდეოლოგიაზე კომპრომისის მიღწევით და ამავდროულად პრიორიტეტად ძალაუფლების შენარჩუნების დასახვით, პატარა-P პრაგმატიზმი ფოკუსირებულია სახელმწიფოს ლიდერის ან მმართველი ელიტის გადარჩენაზე. დიდ-P პრაგმატიზმი ანალოგიური სტრატეგიაა, თუმცა, იგი ემსახურება უფრო ფართო ეროვნულ ინტერესებს და არა მმართველი ძალების პირად ინტერესებს. ეს მიდგომა, როგორც წესი, ხასიათდება გრძელვადიან მიზნებზე ფოკუსირებით (Rong Phua 2022). როგორც დიდი, ისე პატარა-P-ის მიდგომა შეიძლება ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს, ან ერთიანდებოდეს, როგორც ერთი

სტრატეგიის კომპონენტები. აზერბაიჯანის და სომხეთის მიერ რეალიზებული პრაგმატული სტრატეგიის ორივე ვარიანტი მომდევნო თავში იქნება განხილული.

პრაგმატული საგარეო პოლიტიკისგან განსხვავებით, ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა პრიორიტეტულ პოზიციას ანიჭებს დემოკრატიული ღირებულებების, კანონის უზენაესობის, მედიის თავისუფლებისა და მდგრადი ინსტიტუტების პოპულარიზაციას, როგორც საგარეო პოლიტიკის დაგეგმვის ქვაკუთხედს. ამგვარი პოზიცია არ აღიარებს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების ვიწრო ჭრილში რეალიზაციაზე და ფოკუსირებულია უფრო ფართო დემოკრატიული დღის წესრიგის დაცვაზე. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის პატარა ქვეყნებს შორის ესტონეთმა დაიწყო ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის გატარება 2014 წელს უკრაინაში რუსეთის პირველი შეჭრის შემდეგ. ლიეტუვაც, ასევე, ხაზს უსვამს ღირებულებებზე დაფუძნებული მიდგომისადმი თავის ერთგულებას „დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის სოლიდარობის სულისკვეთების ხელშეწყობით“ (ლიეტუვის რესპუბლიკის მთავრობის პროგრამა 2016).

ევროკავშირი ცდილობდა, მოეძებნა ოქროს შუალედი პრაგმატულ პოზიციასა და ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის მიდგომა შორის. ეს იმსახურებს ცალკე ყურადღებას, რადგან 2014 წელს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის უმიზეზო აგრესიის პირველი ტალღის შემდეგ ევროკავშირი იბრძოდა თავისი წევრი ქვეყნების განსხვავებული ინტერესების დასაცავად და, ამასთან, აცნობიერებდა რუსეთთან დიალოგის შენარჩუნების აუცილებლობას უწყვეტი ეკონომიკური თანამშრომლობისთვის. აქედან გამომდინარე, 2016 წელს, პრინციპული პრაგმატიზმი გამოცხადდა ევროკავშირის გლობალური სტრატეგიის ნაწილად, რათა პრიორიტეტი მინიჭებოდა საერთო ინტერესებს და არა – კონფლიქტურ საკითხებს. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, დაცული იქნეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების განსხვავებული ინტერესები და მოიძებნოს ოქროს შუალედი მეზობელი ქვეყნების მიმართ ევროკავშირის პროგრესულ დღის წესრიგს შორის, რომელიც ეფუძნება ღირებულებების პატივისცემასა და ნორმატიულ ვალდებულებებს (ევროკავშირის გლობალური სტრატეგია 2019).

თუმცა ევროკავშირის სტრატეგიამ არ გაამართლა, რადგან უკრაინაზე რუსეთის მეორედ თავდასხმამ წამოჭრა უსაფრთხოებისა და თავდაცვის გასამლიერებლად ბლოკის სტრატეგიის გადახედვის გადაუდებელი საჭიროება. სტრატეგია ითვალისწინებს ამ ცვლილებების 2030 წლისთვის გათვალისწინებას და ცნობილია, როგორც სტრატეგიული კომპასი უსაფრთხოებისა და თავდაცვისთვის. რა თქმა უნდა, ხუთი პრიორიტეტიდან თითოეული, კერძოდ კი: უსაფრთხოება და თავდაცვა, მდგრადობა, კრიზისების ინტეგრირებული მართვა, რეგიონული წესრიგი და გლობალური მართვა მოითხოვს ხელახალ შეფასებას 2022 წლის 24 თებერვლის მოვლენების შემდეგ. ახალ კომპასში არ არის ნახსენები სომხეთი და აზერბაიჯანი მაშინ, როცა არაერთხელ ისმება აქცენტი საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვისადმი მხარდაჭერაზე ჰიბრიდულ საფრთხეებთან,

დეზინფორმაციასა და კიბერუსაფრთხოებასთან კავშირში (ევროკავშირის სტრატეგიული კომპასი 2022). ევროკავშირის მაგალითი გამოკვეთს იმ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის ლოგიკური სქემის პრაგმატულზე ტრანსფორმაციას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, რომელიც დგას რთული არჩევანის წინაშე – იმოქმედოს პრაგმატულად სავაჭრო კავშირების და ეკონომიკური პარტნიორობის დივერსიფიკაციის მიზნით ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა, მაგალითად, თურქეთი, ჩინეთი და, საბოლოო ჯამში, რუსეთი და, ამავდროულად, საფრთხე არ შეუქმნას დემოკრატიულ ღირებულებებს. ამასთან, თბილისის მეზობლები, კერძოდ კი, აზერბაიჯანი და სომხეთი სულ უფრო და უფრო მეტად უწყობენ ხელს რეგიონული პოლიტიკის მიმართ პრაგმატულ მიდგომას, რითაც ეჭვქვეშ აყენებენ ღირებულებებზე დაფუძნებული მიდგომის კეთილსაიმედოობას.

პრაგმატიზმის ნაირსახეობები სამხრეთ კავკასიაში: აზერბაიჯანის და სომხეთის კურსი

სამხრეთ კავკასიაში „პრაგმატული გარდატეხის“ კვლევისას, გამოჩნდა, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი ამ მიდგომის ჩამოყალიბებულ მაგალითებად შეიძლება მივიჩნიოთ მაშინ, როცა საქართველო ცდილობს მანევრირებას პრაგმატულ და ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიებს შორის. წარმოდგენილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ აზერბაიჯანის პრაგმატულ საგარეო პოლიტიკაში პატარა-P და დიდი-P პრაგმატიზმი მუშაობს ტანდემში. აზერბაიჯანის სტრატეგიის მთავარი მიზანია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და პრეზიდენტ ალიევის, როგორც ძლიერი და საიმედო ლიდერის, ავტორიტეტის გაძლიერება. სომხეთის შემთხვევაში, რომელმაც პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღება დაიწყო 2020 წლის ნოემბერში ყარაბაღის ომში დანაკარგებთან გასამკლავებლად, ორ პრაგმატიზმს შორის ურთიერთდამოკიდებულება ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული.

ბაქოს ფრთხილმა „დაბალანსების პოლიტიკამ“ შედეგი გამოიღო, რადგან ამით მან აღიდგინა კონტროლი მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე და შემოგარენში, გადაიქცა ევროკავშირისთვის ენერგორესურსების მიმზიდველ მიმწოდებლად და, ამასთან, შეინარჩუნა დიალოგი რუსეთთან და მჭიდრო კავშირი თურქეთთან. სომხეთისთვის, რომელიც რუსეთის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ იზოლაციის შემდეგ დარჩა შეზღუდული შესაძლებლობებით, პოლიტიკის პრაგმატული ცვლილება გახდა არსებითად აუცილებელი. რეგიონში სატრანსპორტო დერეფნების გახსნის თვალსაზრისით, ერევანმა უნდა უზრუნველყოს თურქეთთან დიალოგის გაგრძელება, რაც არ იქნება ადვილი ორ ქვეყანას შორის მწარე ისტორიული მემკვიდრეობიდან გამომდინარე.

- **აზერბაიჯანი: „გამოცდილი დამბლანსებელი“**


საგარეო პოლიტიკის ფარგლებში, ბაქო მიჰყვება თავისი მთავარი პარტნიორის, თურქეთის ანალოგიურ სტრატეგიას, წარმოაჩენს რა თავს საიმედო პარტნიორად, როგორც რუსეთისთვის, ასევე – დასავლეთისთვის. სომხეთისგან განსხვავებით, რომელიც რუსეთმა, როგორც მისი უსაფრთხოების გარანტმა განზე გასწია უკრაინაში ომის გამო, თურქეთის მხარდაჭერა აზერბაიჯანისთვის ყარაბაღის პირველი ომის პერიოდიდან იყო სტაბილური და საიმედო (მაჩიტაძე 2020). განვითარდა ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა ეკონომიკის, კულტურის, სამხედრო და თავდაცვის სფეროებში. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდა 2021 წლის შუშის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ (ანალოლუს სააგენტო 2021). ამასთან, ორი ქვეყნის პარტნიორობა კიდევ უფრო გაამყარა ერთობლივმა ელექტრონული მომსახურების პლატფორმამ, ერთმანეთის საჯარო მომსახურების სისტემებთან თითოეული ქვეყნის მოქალაქეების დაშვების ხელშეწყობის მიზნით (კასპის ახალი ამბები 2022). თურქეთისთვის შედეგიანი იყო აზერბაიჯანის მხარდაჭერა მთიანი ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, როდესაც მან მოახერხა და მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის აგდამის რაიონში ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგის ცენტრის გუნდის მუშაობაში, რომელიც დაკომპლექტებულია თურქებითა და რუსებით.

ბაქომ მნიშვნელოვნად გაიმყარა გეოპოლიტიკური პოზიცია 2020 წლის შემოდგომაზე ომში გამარჯვების, ასევე 2022 წლის აგვისტო-სექტემბერში კონფლიქტის ტალღების შემდეგ. 24 თებერვლიდან აზერბაიჯანი თამამად მოქმედებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებული მისი მთავარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად, ეყრდნობა რა მთიან ყარაბაღსა და მის გარშემო ტერიტორიებზე ბოლო დროს აღდგენილი კონტროლის ფაქტს. 13-14 სექტემბრის კონფლიქტის ტალღამ, რომელიც იყო ყველაზე ძლიერი 2020 წლის შემოდგომის ომის შემდეგ, ხაზი გაუსვა აზერბაიჯანის განზრახვას, აიძულოს სომხეთი მიიღოს მშვიდობაზე ბაქოს პირობები ფსონების გაზრდით და არა მხოლოდ მთიან ყარაბაღზე, არამედ თვითონ სომხეთზე თავდასხმით. როგორც 2020 წლის ნოემბრის შემდეგ ესკალაციების დროს, რუსეთმა, როგორც სომხეთის უსაფრთხოების მიმწოდებელმა, არ ისურვა კონფლიქტში ჩარევა (სომხეთის ხმის ახალი ამბები 2022), აზერბაიჯანი გადაიქცა რა რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სამხედრო მფლანგველად (გრაფიკი 1), და რომლის სამხედრო დანახარჯები აღწევს 5%-ზე მეტს (SIPRI 2021), სულ უფრო და უფრო თავდაჯერებულად მოქმედებს. 2020 წლის შემოდგომის ესკალაციის შემდეგ კი ეუთოს მინსკის ჯგუფს აკრიტიკებს და მას „პრაქტიკულად უმოქმედოს“ უწოდებს (BBC 2022).

პარალელურად, აზერბაიჯანი იმყარებს რეგიონში ენერგოუსაფრთხოების მიმწოდებლის სტატუსს, ევროკავშირისა და უკრაინის ენერგოუსაფრთხოებაში საკუთარი წვლილის შეტანით. აზერბაიჯანი და თურქეთი მოქმედებენ, როგორც რუსეთის ალტერნატივა ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების საკითხში (Washington Post 2022). ევროკავშირმა და

აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს 2027 წლისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების გაორმაგების შესახებ, რაც თავის მხრივ ზღუდავს ბრიუსელს მოითხოვოს სიტუაციის გაუმჯობესება აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის კუთხით. ელექტროენერჯის მიწოდებაზე აზერბაიჯანს, საქართველოს, რუმინეთსა და უნგრეთს შორის პოტენციური შეთანხმება ახდენს ბაქოს სტრატეგიული მნიშვნელობის გაზრდის დემონსტრირებას (Agenda.ge 2022). ამავე დროს აზერბაიჯანის მიზანი არ არის, იყოს დასავლეთის ექსკლუზიური პარტნიორი სამხრეთი კავკასიისა და კასპიის რეგიონში. „მოკავშირეობის“ შეთანხმება რუსეთთან, რომელსაც ხელი მოეწერა 2022 წლის მარტში, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ არის აზერბაიჯანის მრავალვექტორიანი სტრატეგიის მტკიცებულება. დოკუმენტი აღრმავებს თავდაცვისა და ვაჭრობის სფეროში ორი მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყნის თანამშრომლობას (OC Media 2022).

გრაფიკი 1.



წყარო: შედგენილია სტოკჰოლმის მშვიდობის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის (SIPRI) მონაცემების საფუძველზე (2021)

საქართველოსა და სომხეთისგან განსხვავებით, რომლებიც ასევე არ შეუერთდნენ რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს, აზერბაიჯანის მთავრობამ თავიდან აიცილა კიევის კრიტიკა და დაიმსახურა ქება უკრაინისთვის 15 მლნ ევროს ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებისთვის, ხოლო აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარმა“ მიაწოდა 100 ტონა საწვავი, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო უკრაინის სასწრაფო დახმარების მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებებისთვის (EU reporter 2022).

ბაქო ეცადა პოსტ-საბჭოთა ქვეყნიდან თურქულ სახელმწიფოდ ტრანსფორმაციას. თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციაში წევრობის წყალობით, აზერბაიჯანმა დაიწყო ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ინტენსიური თანამშრომლობა რეგიონის უზარმაზარი ენერგორესურსებისთვის ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტით მომსახურებით. კასპიის ზღვაში ტანკერების ახალი ფლოტის განვითარება არის ამ თანამშრომლობის ერთ-ერთი შედეგი, მათ შორის, უმნიშვნელოვანესი შეთანხმების ჩათვლით, რომელიც გაფორმდა კასპიის ზღვაში დოსტლუგის ოფშორული ნავთობის საბადოზე და რომელზედაც 30 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა თურქმენეთთან (Caspian news 2021). 2022 წლის ივლისში ნოვოროსიისკის ნავთობტერმინალის დროებით დახურვის გამო ყაზახეთიც მეტ ყურადღებას იჩენს აზერბაიჯანის და სამხრეთის გაზის დერეფნისადმი, რაც გამოწვეულია თურქეთის, საქართველოსა და ევროპელი პარტნიორების ენერჯიაზე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ტრანსანატოლიური (TANAP) და ტრანსადრიატიკული მილსადენების (TAP) პოტენციური გაფართოების შესაძლებლობებით. ენერგეტიკის სფეროში კიდევ ერთი თანამშრომლობა გაფორმდა უზბეკეთსა და აზერბაიჯანს შორის. თუმცა ეს პარტნიორობა გამოცდილების გაზიარებასა და ინვესტიციების მოზიდვას კი არ გულისხმობს, არამედ ემსახურება სხვა მიზანს, კერძოდ კი, ტაშკენტის ინტერესებს „ზანგეზურის დერეფანში“, მისი აღდგენის შემთხვევაში, ტაშკენტს პოტენციურად შეუძლია აზიიდან ევროპაში უმოკლესი სახმელეთო მარშრუტის შეთავაზება (Eurasianet 2022).

შესაბამისად, აზერბაიჯანისთვის პრაგმატული პოზიცია რეალურად ეფუძნება ხარჯ-სარგებლის შეფასებას, ალიანსებისა და პარტნიორობებისკენ სწრაფვით, რაც ეყრდნობა აზერბაიჯანის მთავარ ეროვნულ ინტერესებს – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მთიანი ყარაბაღის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება მისი პირობებით. რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობების გაგრძელებით ბაქოს მიზანია, გაატაროს დამოუკიდებელი რეგიონული პოლიტიკა თურქეთთან ალიანსში, მოსკოვის ნებართვის გარეშე. აზერბაიჯანმა ასევე მოახერხა თავისი გავლენის გაძლიერება ცენტრალური აზიიდან ევროკავშირში ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტის ხარჯზე.

- **სომხეთი: „სასოწარკვეთილი პრაგმატიზმი“**

მაშინ, როცა პრაგმატული საგარეო პოლიტიკის მიდგომამ ხელი შეუწყო აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რეგიონული პროფილის ფორმირებას და რუსეთის უფრო ძლიერი გავლენისგან თავის დაღწევას, სომხეთი იძულებული იყო, მიეღო პრაგმატიზმი გამოუვალი

მდგომარეობის გამო. საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებში ქვეყანა ჩანს ერთადერთ რეგიონულ მოთამაშედ, რომელიც ერთდროულად უსვამს ხაზს, როგორც აშშ-სთან „მეგობრული პარტნიორობის“ სტრატეგიულ მნიშვნელობას, ასევე „განსაკუთრებულ პარტნიორობას“ რუსეთთან (სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო 2022). 2020 წლის ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ, სომხეთი იძულებული იყო, განეხილავინა დიალოგი თურქეთთან, რადგან რუსეთმა დაკარგა, მისი, როგორც ერევნისთვის უსაფრთხოების მთავარი გარანტორის ავტორიტეტი და არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, როგორც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (CSTO) წევრი ქვეყანა.


ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მოსახლეობის უზარმაზარი უკმაყოფილება იმის გამო, რომ 2020 წლის შემოდგომაზე 44 დღიანი ომის დროს და მის შემდეგაც კრემლი არ დახმარებია სომხეთს (ИРИ 2022). რუსეთი წააწყდა სულ უფრო და უფრო მზარდ იზოლაციას უკრაინის წინააღმდეგ მისი უმიზეზო და გაუმართლებელი აგრესიის გამო, რითაც მისი ქალაქებზე დაწერილი უსაფრთხოების გარანტიები სულ უფრო და უფრო არარეალისტური ხდება სომხეთისთვის. კრემლი აზერბაიჯანს ფორმალურად მოუწოდებს სომხეთზე განხორციელებული თავდასხმებთან დაკავშირებით „დიპლომატიური გადაწყვეტილების მიღებისკენ“ და ცდილობს, ერევნისთვის უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფას თავი აარიდოს, რაც საშუალებას აძლევს ბაქოს მიაღწიოს სომხეთისგან დამატებით დათმობებს (Reuters 2022).

სომხეთისთვის, პრაგმატული რეგიონული საგარეო პოლიტიკის მხრივ მთავარ ჯილდოს წარმოადგენს მისი ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის შემსუბუქება. ამასთან, 2020 წლის ომში დამარცხებით გამოწვეული აშკარა დამცირების გრძნობის გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური იზოლაციის პრობლემის გადაჭრით (VoA News 2022). ამ მიზნით, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა განაახლა მოლაპარაკებები თურქეთთან და ხაზი გაუსვა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირებისა და სატრანსპორტო დერეფნებში ინვესტიციების განხორციელებაზე მოლაპარაკებებისთვის მზადყოფნას. 2009 წელს თურქეთთან ურთიერთობების დარეგულირების წინა მცდელობებისგან განსხვავებით, ახლანდელი მოლაპარაკებები მიმდინარეობს „ყოველგვარი წინაპირობების“ გარეშე, სომხების გენოციდის ან მთიანი ყარაბაღის საკითხების დაკავშირების გარეშე. მართალია, აზერბაიჯანს ისევ არ სურს თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების ამგვარი „დარეგულირება“, თუმცა ათი წლის წინანდელი მდგომარეობისგან განსხვავებით ბაქო არ ეწინააღმდეგება აღნიშნული მოლაპარაკებების გამართვას. აღსანიშნავია რომ, თუ ადრე, ძირითადად, არ იყო არანაირი მხარდაჭერა ევროკავშირისა და აშშ-ს მხრიდან (Eurasianet 2022), ოქტომბრის შეთანხმების მიხედვით, ევროკავშირი გააგზავნის დროებით სამოქალაქო მისიას აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარზე. ეს გადაწყვეტილება თავის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ დასავლეთი უზრუნველავს პოსტკონფლიქტური სიტუაციის მოგვარებაში აქტიურ როლს.

სომხეთში საზოგადოების აზრი სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების დარეგულირებასთან დაკავშირებით გამოხატულად უარყოფითია: ერევანში 47%, ხოლო რეგიონებში 52%. ამგვარი შეთანხმების მიღწევა შესაძლოა, გახდეს სახალხო მდელვარების მიზეზი. სომეხი ხალხის საზოგადოებრივი აზრის მიუხედავად, რომელიც გამოხატავს გადაწყვეტილებების მიმღები ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის უპრეცედენტო დონეს (64% არ ენდობა არცერთს), ნიკოლ ფაშინიანი კვლავ სარგებლობს მსხვილი პოლიტიკური ფიგურების მხრიდან დიდი მხარდაჭერით (IRI 2022).

გრაფიკი 2.

What is your opinion on the normalization of Armenia-Turkey relations?



წყარო: საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI). საზოგადოებრივი აზრის კვლევა – სომხეთის მოსახლეობა (2022 წლის ივნისი)

მთლიანობაში რომ შევაჯამოთ, პრაგმატულ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით სომხეთის შემობრუნება გამოწვეული იყო 2020 წლის ნოემბერში „დამცირებით,“ მთიან ყარაბაღსა და მის გარშემო ტერიტორიების დაკარგვითა და რუსეთის მხრიდან უსაფრთხოების უზრუნველყოფის იმედის დაკარგვით. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთთან ურთიერთობების დარეგულირება დიდწილად ეწინააღმდეგება სომხეთის მოსახლეობის საზოგადოებრივ აზრს, ერევანისთვის, რომელმაც დაკარგა რუსეთის მხრიდან უსაფრთხოების გარანტიები და განიცდის რეგიონში გავლენის შესუსტებას, თურქეთთან დიალოგი

გასაღებია იმისთვის, რომ დიდი ხნის წინ დაბლოკილი სავაჭრო მარშრუტები ხელახლა გაიხსნას და, არ არის გამორიცხული, გადაიქცეს სატრანზიტო კვანძად ჩრდილოეთ-სამხრეთის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის ფარგლებში. პრაგმატული მოქმედების ნაწილია სომხეთის ძალისხმევა, აღადგინოს აქტიური კავშირები ევროკავშირთან შემდგომი თანამშრომლობის თვალსაზრისით.

საქართველო: საგარეო პოლიტიკის ძიებაში

აზერბაიჯანისა და სომხეთისგან განსხვავებით, საქართველოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩიოს, სულ უფრო და უფრო გაურკვეველია. რადგანაც საქართველო მიიჩნევა დასავლეთის ყველაზე ერთგულ და საიმედო პარტნიორ ერთადერთ ქვეყნად სამხრეთ კავკასიაში, რომელიც შედის უკრაინა-საქართველო-მოლდოვის ასოცირებულ სამეულში, მისგან მოულოდნელი იყო ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის კურსიდან გადახვევა. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საქართველომ უკან დაიხია რეფორმების გატარების, განსაკუთრებით, კორუფციასთან ბრძოლისა და სასამართლო სისტემის სფეროში ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. მან ასევე ვერ შეძლო პოლიტიკური პოლარიზაციის დამლევა და 2021 წლის ივნისში უარი განაცხადა ევროკავშირის შუამავლობით მიღებულ 19 აპრილის შეთანხმების შესრულებაზე, დაადანაშაულა რა ოპოზიციური პარტიები, რომ მათ არ გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი (Euroactiv 2021).

„საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება, წავიდეს ევროკავშირის გზით და ასევე აიღოს ეს ვალდებულებები. და ახლა [რაც] აქტუალურია, ეს არის შესრულება“ (ევროსაბჭო 2022). ევროპის საბჭოს უმაღლესი წარმომადგენლის, ჯოზეფ ბორელის ეს განცხადება შეიცავს საქართველოს მხრიდან ნათლად ფორმულირებულ მოლოდინებს. 2016 წლის შემდეგ, როდესაც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება ამოქმედდა, მიმდინარე წელი განსაკუთრებით წარუმატებელია თბილისსა და ბრიუსელს შორის ურთიერთობებში (კაკაჩია, კაკაბაძე 2022). ის, რომ თბილისმა ვერ მოახერხა დასავლელი პარტნიორების მოლოდინების გამართლება, გახდა მისი პრაგმატული საგარეო პოლიტიკის არჩევისა და ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკური კურსიდან გადახვევის მთავარი ფაქტორი.

საქართველოს რეგიონული პოლიტიკის მთავარი საყრდენი, განსაკუთრებით, სამხრეთი კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონებთან მიმართებით, ტრადიციულად ევროატლანტიკური კურსი იყო. ამასთან, თბილისს დასავლეთისგან არ მიუღია უსაფრთხოების კონკრეტული გარანტიები რუსეთისგან მომავალი საფრთხეებისგან დაცვისათვის. მთავარი პარტნიორები, ევროკავშირი და აშშ უმეტესწილად მოქმედებენ, როგორც რეგიონში უსაფრთხოების

უზრუნველყოფის გარე დამკვირვებლები და აშკარად ჩამორჩებიან რუსეთსა და თურქეთს შესაძლებლობებსა და სურვილში, საკუთარ თავზე აიღონ ინიციატივა სამხრეთ კავკასიაში. ევროკავშირი იყო მთავარი მოთამაშე დემოკრატიის გაძლიერების, პოლიტიკური პოლარიზაციის შესუსტების, სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაფართოებისა და „მწვანე“ ენერჯის პრობლემების მოგვარების საკითხებში. თუმცა რეგიონის მზარდი მილიტარიზაციის ფონზე ამ საკითხებმა დაკარგა რეგიონში ძალის დაბალანსებაში გადაწყვეტი რილი. საქართველოს მზადყოფნა, დაიკისროს ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის გატარების ვალდებულება, განმტკიცდა ბოლოდროინდელი ნაბიჯებით, როგორცაა მაგალითად, თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივა, რომელიც გაფორმდა აშშ-სა და საქართველოს შორის 2021 წელს. ამ პროგრამის მიზანია თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება და ამყარებს საქართველოს, როგორც ნატოს გაძლიერებული უსაფრთხოების პარტნიორის, სტატუსს. ამგვარად, უფრო მეტი მსგავსი პროგრამა თბილისს შესძენს თავდაჯერებულობას საგარეოპოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით, პროდემოკრატიული კურსის დაუთმობლად.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის თბილისს, პროაქტიურად იმოქმედოს სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში, როგორც დემოკრატიული ღირებულებების ხელშემწყობმა აქტორმა, არის განსხვავება ევროკავშირისა და ნატოს მიმართულებით მის ოფიციალურ საგარეოპოლიტიკურ კურსსა და რუსეთის გაღიზიანების თავიდან არიდების ნაკლებად ოფიციალურ ძალისხმევებს შორის. ეს პრაგმატული მიდგომა ეფუძნება რეგიონის დაინტერესებულ მოთამაშეებთან (თურქეთი, რუსეთი და ჩინეთი) თანამშრომლობის დაბალანსებისაკენ მიმართულ ხარჯ-სარგებლის შეფასებას, და, ამავდროულად, მიჰყვება ევროატლანტიკური ინტეგრაციისათვის რეფორმების ვალდებულებებს. საქართველოს გრძელვადიანი საგარეოპოლიტიკური მიზნებისა და ისეთი განახლებული, გარკვევით ჩამოყალიბებული ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების არარსებობა, რომლებიც ითვალისწინებს რეგიონში დღეისთვის არსებულ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს, ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს ამჟამინდელი კურსის კეთილგონიერებას უკრაინის ომის კონტექსტში. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაც ასევე მოითხოვს დაუყოვნებლივ განახლებას, განსაკუთრებით, მთიანი ყარაბაღის გარშემო სტატუს-კვოს ცვლილებისა და რუსეთის უკრაინაში შეჭრის ფონზე. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა საქართველოს დემოკრატიული უკუსვლა სულ უფრო და უფრო უკავშირდება „სახელმწიფო ინსტიტუტების მიტაცებას“ (German et al. 2021). ამ ყველაფერს კიდევ უფრო ართულებს ხელისუფლების ანტიდასავლური რიტორიკა. სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს პრემიერ - მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ღიად გააკრიტიკა ევროკავშირის პარლამენტის რეზოლუცია საქართველოს შესახებ და საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების სურვილის უქონლობა და ხაზი გაუსვა, რომ „საქართველო ათჯერ წინაა უკრაინასა და მოლდოვაზე ყველა სფეროში და გარკვეული თვალსაზრისით სჯობნის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს“ (Eurasianet 2022).

და ბოლოს, იმასთან ერთად, რომ საქართველომ უკან დაიხია რეფორმების გატარების ვალდებულებების შესრულების მხრივ, უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით ვერ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, კიდევ უფრო ამბივალენტურია თბილისის საკმაოდ ორაზროვანი პოზიცია მოსკოვის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციების დაცვასთან დაკავშირებით. მაშინ როცა მთავრობამ განაცხადა, რომ მოსკოვის წინააღმდეგ სანქციების შემოღება ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა დაადასტურა სრული მხარდაჭერა რუსეთის მიმართ სანქციების დაწესებაზე (საქართველოს პარლამენტი 2022).

სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონთან მიმართებით თავშეკავებული და საქართველოს შიდა ინტერესებზე ფოკუსირებული პოლიტიკა არ იძლევა პრაგმატული საგარეო კურსის გატარების შესაძლებლობას. უფრო მართებულია, ითქვას, რომ საქართველო პრაგმატიზმს იყენებს ორაზროვანი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარების გამართლების მიზნით. გადაწყვეტილებების მიღები მთავარი ინსტიტუტების ერთიანი მიდგომის უქონლობის გამო, საქართველო რჩება ევროკავშირისა და ნატოში ინტეგრაციის მიზნების მიმდევარ დასავლეთის რეგიონულ პარტნიორად, რომელიც დროდადრო ყოყმანობს, შეუერთდეს დასავლეთს რუსეთის სრულმასშტაბიანი იზოლაციის საკითხში და ამის ნაცვლად აგრძელებს მოსკოვთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პოლიტიკას.

ამ პოლიტიკის წყალობით, საქართველომ ექვეყნე დააყენა დასავლეთის ერთგულება, უკრაინის სტრატეგიული პარტნიორობა და დემოკრატიული რეფორმების გატარების მზაობა, რაც ათი წლის წინ ნამდვილად არ იყო საკამათო. ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკური კურსიდან გადახვევა გამოიწვევს უპრეცედენტო დანაკარგებს გრძელვადიანი პერსპექტივით, კერძოდ, დასავლეთის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის შესუსტებას, რაც ძვირად დაუჯდება ქვეყანას უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის და უკრაინაში ომის დასრულების შემდეგ უსაფრთხოების ნებისმიერ ახალ შეთანხმებაში მონაწილეობის თვალსაზრისით. ახლო მომავალში ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკური კურსიდან გადახვევის შედეგად შესაძლოა სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიკაცია, ინვესტიციების გაზრდა ისეთი ქვეყნების მხრიდან, როგორებიცაა, მაგალითად: ჩინეთი, თურქეთი, ირანი და რუსეთი. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ამგვარი მიდგომა დააზიანებს საქართველოს დემოკრატიულ პროგრესს, ინსტიტუციურ მდგრადობას და გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალობას.

დასკვნები და რეკომენდაციები

2020 წლის 24 თებერვლის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს წინაშე წარმოქმნა კომპლექსური გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონში მისი საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის გადახედვასთან. მიუხედავად იმისა, რომ პრაგმატული საგარეოპოლიტიკური კურსი ყველაზე რეალური ალტერნატივაა უკრაინაში რუსეთის ომის შედეგებთან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდში, ასეთი მიდგომა უნდა ეფუძნებოდეს, ძირითადად, ხარჯ-სარგებლის ანალიზს. ბოლო პერიოდამდე, საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ატარებდა ღირებულებებზე დაფუძნებულ საგარეო პოლიტიკას, როგორც „დემოკრატიის შუქურა“ და დასავლეთის ერთგული პარტნიორი. ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკური კურსიდან თბილისის გადახვევა და უკრაინის ომის პერიოდში რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პოლიტიკა, ასევე, არის დასავლეთის მხრიდან საქართველოსთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტიების არარსებობის და სამხრეთ კავკასიაში დასავლური აქტორების ჩართულობის შესუსტების შედეგი, რაზეც მეტყველებს ევროკავშირის ახალ „უსაფრთხოების კომპასში“ რეგიონის უმნიშვნელო როლი. სომხეთის ან აზერბაიჯანისგან განსხვავებით, თავდასხმის შემთხვევაში საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტორი რეგიონული მოთამაშე არ არსებობს.

როგორც ჩანს, თბილისი ასცდა კურსს, არ გააჩნია კონკრეტულად ჩამოყალიბებული პრიორიტეტი მისი გრძელვადიანი საგარეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები იმისთვისაა, რომ თბილისის რეგიონული საგარეო პოლიტიკა ეყრდნობოდეს ღირებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეგიონული კონტექსტი სამხრეთ კავკასიაში (აზერბაიჯანის და სომხეთის პრაგმატული მიდგომები საგარეო პოლიტიკაში), უბიძგებს საქართველოს ანალოგიური პოზიციის დაკავებისაკენ. 2022 წლის 24 თებერვლის შემდგომ აზერბაიჯანის პრაგმატული პოზიცია მომგებიანია ბაქოსთვისაც, რადგან რეგიონის მოთამაშეებთან ურთიერთობისას პრაგმატული და ფრთხილი მიდგომა, უკვე დიდი ხანია, წარმოადგენს მის სავიზიტო ბარათს. ამავე დროს, სომხეთიც აგრძელებს პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას, უფრო გადარჩენის მიზნით და ნაკლებად – საკუთარი სურვილით. ერევნის მხრიდან პრაგმატული პოზიციის დაკავება პირდაპირ კავშირშია დაკარგულ ტერიტორიებთან მთიან ყარაბაღში და, ასევე, რუსეთის მხრიდან სამოკავშირეო ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან. სომხეთის მიდგომის გასაღები არის დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა თურქეთთან, რაც ჯერ კიდევ საკმაოდ გაურკვეველია. ამ ფონზე, აზერბაიჯანისა და სომხეთის განსხვავებით, საქართველომ უნდა მიმართოს ძალისხმევა ღირებულებებზე დაფუძნებულ საგარეო პოლიტიკისაკენ, რაც

ყველაზე კარგად მოერგებოდა მის სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის დიდი ხნის პარტნიორის სტატუსს.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობისთვის

- *ევროკავშირთან დაკავშირებით*

1. საქართველოს მთავრობამ, ყველა დაინტერესებულ მხარესთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან პარტნიორობით, უნდა გამოავლინოს მტკიცე ერთგულება კანდიდატის სტატუსის დამსახურებისთვის და განახორციელოს რეფორმები ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების დოკუმენტის შესაბამისად, გამჭვირვალე სასამართლო სისტემასთან, კორუფციასთან ბრძოლასთან, პოლიტიკური პოლარიზაციის დაძლევისასთან და საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებასთან დაკავშირებით;
2. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა მთავრობის მუშაობაში და უწყვეტი მონიტორინგი უნდა იყოს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცესის განუყოფელი ნაწილი. აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ანგარიშები შესრულებულ, მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებზე, ასევე პროგრამები, გეგმები და სტრატეგიები. ამ პროცესში, ასევე, უნდა მოიაზრებოდეს სატელევიზიო საინფორმაციო კამპანიები;
3. საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნას პლატფორმა მოლოდინისა და უკრაინასთან ერთად, ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებში რეფორმების გატარებასთან დაკავშირებით გამოცდილების უწყვეტად გაზიარების მიზნით. გამოცდილების გაზიარებაში, ასევე, შესაძლოა მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის წევრობის ბოლოდროინდელმა წარმატებულმა კანდიდატებმა, მაგალითად, ხორვატიამ. ევროკავშირის წევრობისთვის განმცხადებლების პოზიციების გაძლიერების მიზნით, ასევე, მოწვეული უნდა იყვნენ კანდიდატის სტატუსის მქონე სხვა ქვეყნებიც, მაგალითად, მონტენეგრო და ჩრდილოეთი მაკედონია.

- *საქართველოს სამეზობლოს მიმართ:*

1. საქართველოს მთავრობამ უპირობო მხარდაჭერა უნდა გამოუცხადოს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და რუსეთის უმიზეზო და გაუმართლებელი აგრესიის წინააღმდეგ მის ბრძოლას. თბილისი უნდა შეუერთდეს საერთაშორისო სანქციებს, რაც, თავის მხრივ, შეასუსტებს რუსეთის შესაძლებლობებს, ჩაერიოს საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში. საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი,

ასევე, პარლამენტის თავმჯდომარე უნდა ჩავიდინენ კიევში ოფიციალური ვიზიტით, რაც ხელს შეუწყობს გაფუჭებული ურთიერთობების აღდგენას. კიევმა, თავის მხრივ, უნდა გამოხატოს მზადყოფნა ახალი სტარტისთვის და განზე გადადოს პოლიტიკური განსხვავებულობა.

2. საქართველომ უნდა იმოქმედოს პროაქტიულად, რათა უკრაინასთან, თურქეთთან, ბულგარეთსა და რუმინეთთან ერთად განახლდეს შავ ზღვაზე მრავალმხრივი თანამშრომლობის ქმედითი პლატფორმა, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის დასრულების შემდეგ რეგიონისთვის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის განახლებული სტრატეგიის შეთავაზებით. ეს უნდა განხორციელდეს ევროკავშირისა და ნატოს წარმომადგენლებთან კონსულტაციებით, რათა ხელი შეეწყოს შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობის გაზრდას ორივე ორგანიზაციის სტრატეგიულ დოკუმენტებში;
3. საქართველომ უნდა გააგრძელოს მშვიდობიანი სამეზობლო ინიციატივა სამხრეთ კავკასიაში და ევროკავშირთან ერთად ითამაშოს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შუამავლის როლი. უკრაინაში ომზე რუსეთის ფოკუსირების და კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით ეუთოს მინსკის ჯგუფის არაშედეგიანი ძალისხმევის ფონზე, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა თბილისში 2022 წლის ივლისში და 2021 წელს აყვანილი სამხედრო ტყვეების გათავისუფლებაზე შეთანხმების მიღწევა საიმედო დასაწყისია. საქართველომ, ასევე, უნდა შეიმუშაოს დეზინფორმაციული კამპანიების პრევენციის სტრატეგია, რაც მისი, როგორც მიუკერძოებელი შუამავლის როლს უფრო ეფექტიანს გახდის.

ევროკავშირისა და ნატოსთვის:

1. სამხრეთ კავკასიაში მუდმივი მშვიდობის შენარჩუნების და, განსაკუთრებით, აზერბაიჯანი-სომხეთის საზღვარზე კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით, ევროკავშირის საზღვრის კონტროლის სამოქალაქო მისიამ უნდა გააფართოოს საქმიანობის სფეროები და ვადები, რითაც ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის ავტორიტეტის და ნდობის ამაღლებას;
2. ევროკავშირის მხრიდან 2014-2020 წლებში საქართველოსთვის გაწეული მხარდაჭერის შეფასების ანგარიშის შესაბამისად, ევროკავშირმა საქართველოში უნდა გააძლიეროს დახმარება ექვსი პრიორიტეტული პუნქტის მიხედვით მართლმსაჯულების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული მართვისადმი განსაკუთრებული ყურადღების დათმობით;

3. საქართველოსა და უკრაინას ნატომ უნდა შესთავაზოს წევრობის სამოქმედო გეგმა, რომელიც ჩაანაცვლებს ამჟამინდელ „ღია კარის“ ბუნდოვან პოლიტიკას. ასეთი მიდგომა გამოკვეთს ნატოს განზრახვას, დააკვირდეს რეფორმებს საქართველოში. ამავდროულად, ამგვარი დამოკიდებულება დააჩქარებდა სამხედრო მოდერნიზაციის ტემპს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ევროკავშირის მსგავსად, ნატომ უნდა ისარგებლოს არსებული გარემოებით, რაც რეგიონში რუსეთის ლიდერობის შენარჩუნებას გარკვეულწილად ზღუდავს, და წარმოჩნდეს, როგორც სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების არქიტექტურის ნაწილი.

გამოყენებული ლიტერატურა

- Agence France-Presse. 2022. Armenia Leader Questions Work of Russian Peacekeepers After Flareup. Available at: <https://www.voanews.com/a/armenia-leader-questions-work-of-russian-peacekeepers-after-flareup-/6686659.html> / Accessed on: August 24, 2022.
- Agenda.ge. 2022. Hungarian PM says country interested in receiving electricity from Azerbaijan through Georgia, Romania. Available at: <https://agenda.ge/en/news/2022/4184/> / Accessed on: November 3, 2022
- Estonian Foreign Policy Strategy 2030. 2022. Available at: <https://www.vm.ee/en/ministry-state-protocol-press/foreign-policy-development-plan-2030> / Accessed on: October 20, 2022
- EU-Georgia Association Council. 2022. Press remarks by High Representative Josep Borrell. Available at: https://www.eeas.europa.eu/eeas/eu-georgia-association-council-press-remarks-high-representative-josep-borrell_en/ / Accessed on: August 3, 2022.
- EU Reporter. 2022. Azerbaijan is Ukraine's only strategic ally in the South Caucasus. Available at: <https://www.eureporter.co/world/azerbaijan-world/2022/07/20/azerbaijan-is-ukraines-only-strategic-ally-in-the-south-caucasus/> / Accessed on: August 29, 2022.
- Gabritchidze, Nino. 2022. EU parliament votes to consider sanctioning Georgia's informal leader. Eurasianet. Available at: <https://eurasianet.org/eu-parliament-votes-to-consider-sanctioning-georgias-informal-leader/> / Accessed on: August 6, 2022.
- German, Tracey; Jones, Stephen and Kakachia, Kornely (eds.) 2022. Georgia's Foreign Policy in the 21st Century. Challenges for a Small State. Bloomsbury Collections. 280 pages.
- Gotev, Giorgi. 2021. Ruling party in Georgia dumps Charles Michel's agreement. Euractiv. Available at: <https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/ruling-party-in-georgia-dumps-charles-michels-agreement/> / Accessed on: September 11, 2022.
- Jalilov, Orkhan. 2021. Azerbaijan, Turkmenistan Agree to Deepen Cooperation on Dostlug Offshore Field. Available at: <https://caspiannews.com/news-detail/azerbaijan-turkmenistan-agree-to-deepen-cooperation-on-dostlug-offshore-field-2021-7-30-0/> / Accessed on: September 3, 2022.
- Kakachia, Kornely; Kakabadze, Shota. 2022. What's Behind Georgian Dream's Anti-Western Rhetoric and Foreign Policy Behavior. Policy Memo No. 58. Georgian Institute of Politics. Available at: <https://gip.ge/wp-content/uploads/2022/09/Policy-Memo-58-1-1.pdf> / Accessed on: October 20, 2022
- Lebanidze, Bidzina. 2020. A Region lost? In the South Caucasus: The West is out, Turkey is in, and Russia is stronger than ever. Georgian Institute of Politics. Available at: <https://gip.ge/a-region-lost-in-the-south-caucasus-the-west-is-out-turkey-is-in-and-russia-is-stronger-than-ever/> / Accessed on: September 27, 2022
- Library of Congress. 2007. Pragmatic Foreign Policy, James Baker Offers Annual Kissinger Lecture. Available at: <https://www.loc.gov/loc/lcib/0703/baker.html> / Last checked: August 31, 2022.

- Machitidze, Ivanna. 2021. Black Sea Security Under Strain: Why the Stakes Are Higher After the Nagorno- Karabakh Ceasefire? Available at: http://gip.ge/wp-content/uploads/2021/05/GIP-Policy-Paper-21_Machitidze.pdf Accessed on: December 16, 2021;
- Mehdiyev, Mushvig. 2022. Azerbaijan Submits Basic Principles for Normalization of Relations to Armenia. Caspian News. Available at: <https://caspiannews.com/news-detail/azerbaijan-submits-basic-principles-for-normalization-of-relations-to-armenia-2022-3-15-0/> Accessed on: August 25, 2022.
- Ministry of the Republic of Armenia. 2022. Foreign Policy. Available at: <https://www.mfa.am/en/foreign-policy/> Accessed on: July 20, 2022.
- O'Byrne, David. 2018. With draft convention, resolution of Caspian Sea status appears closer than ever. Eurasianet. Available at: <https://eurasianet.org/with-draft-convention-resolution-of-caspian-sea-status-appears-closer-than-ever/> Accessed on: September 25, 2022
- OC-Media. 2022. Azerbaijan's 'Neutrality' and the Declaration of Allied Interaction with Russia. Available at: <https://oc-media.org/features/azerbajians-neutrality-and-the-declaration-of-allied-interaction-with-russia/> Accessed on: August 18, 2022.
- Organization of Turkic States. 2022. Available at: <https://www.turkkon.org/en/organizasyon-tarihcesi/> Accessed on: August 16, 2022.
- Press Statement by President Charles Michel Following the Trilateral Meeting with President Aliyev of Azerbaijan and Prime Minister Pashinyan of Armenia. 2022. European Council, Council of the European Union. Available at: <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/08/31/press-statement-by-president-charles-michel-following-the-trilateral-meeting-with-president-aliyev-of-azerbaijan-and-prime-minister-pashinayn-of-armenia-31-august-2022/> Accessed on: August 10, 2022.
- Programme of the Government of the Republic of Lithuania (Foreign Policy Part). 2016. Available at: <https://urm.lt/default/en/foreign-policy/key-foreign-policy-documents/programme-of-the-government-of-the-republic-of-lithuania-foreign-policy-part> Accessed on: 20.10.2022.
- Radio Free Europe. Radio Liberty. 2022 Azerbaijani Forces Take Over Strategic Town Linking Armenia With Nagorno-Karabakh <https://www.rferl.org/a/azerbaijan-lacin-nagorno-karabakh-control-/32006090.html>
- Rong Phua, Charles Chao. 2022. Towards Strategic Pragmatism in Foreign Policy Cases of United States of America, China and Singapore. Routledge.
- Samkharadze, Nino. 2022. 3+3 Minus One: Georgia's South Caucasian Challenges and Prospects. Georgian Institute of Politics. Available at: <https://gip.ge/publication-post/20265/> Accessed on: September 5, 2022.
- SIPRI. 2022. Military Expenditure Database. Available at: <https://www.sipri.org/databases/milex> Accessed on: August 20, 2022.
- Stein, Jeff. 2022. White House alarm rises over Europe as Putin threatens energy supply. Washington Post. Available at: <https://www.washingtonpost.com/us-policy/2022/09/11/europe-energy-crisis-white-house/> Accessed on: September 11, 2022

Tetrault-Farber, Gabrielle. 2022. Putin calls for calm amid deadliest Azerbaijan-Armenia clashes since 2020. Reuters. Available at: <https://www.reuters.com/world/armenian-russian-defence-ministers-discuss-nagorno-karabakh-after-flare-up-2022-09-13/> / Accessed on: September 28, 2022.

The European Union's Global Strategy. Three Years on Looking Forward. Available at: https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/eu_global_strategy_2019.pdf Accessed on: 2022.

VoA News. 2022. Ukraine War, Energy Issues Muddle Azerbaijan-Armenia Peace Efforts. Available at: <https://www.voanews.com/a/ukraine-war-energy-issues-muddle-azerbaijan-armenia-peace-efforts/6749926.html>